www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 23 ივლისი, 2012 წელი. | №3071 (164) | ფასი 50 თეთრი

Go Crazy!

შავი ზღვის მეექვსე ჯაზფესტივალი სერჟიო მენდესის კონცერტით დასრულდა

ია ვეკუა

ბათუმის მეექვსე ჯაზფესტივალი გუშინ დასრულდა, თუმცა ქალაქში ჯერ კიდევ ისმის მისი სტუმრების მიერ დატოვებული აკორდების ხმა. ეს ხმა კი ყველას განსხვავებულად ჩაესმის: ვილაცისთვის ის ლარი გრეჰემის ბასივით ჟღერს, ვილაცისთვის ჯონ სკოფილდის გიჟური გიტარის რიტმებად იღვრება, უმეტესობისთვის (უფრო ახალგაზრდა მსმენელისთვის) კი მეექვსე შავი ზღვის ჯაზფესტივალი სამუდამოდ გაირითმება DJ Taboo-ს სახელთან, რომელმაც სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში კლუბური მუსიკის არნახული შოუ შემოგვთავაზა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

DJ Taboo

მთავრობა კახეთში ღვინის დარიგებას აპირებს

გუშინ პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ახალი ინიციატივით გამოვიდა - მთავრობა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ღვინოს დაურიგებს. მერაბიშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერშვილთან ერთად იმყოფებოდა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მთავრობა ამ საკითხზე ჩამოყალიბდება და ღვინის დარიგებას, სავარაუდოდ, სექტემბრიდან დაიწყებს. **"ვაპირებთ, რომ მოსახლეობას, რომელსაც მთლიანად გაუნადგურდა ვენახი, სახელმწიფო კომპანიიდან გარკვეული რაოდენობის ღვინო დავურიგოთ, რათა ახალ წელს ერთი ჭიქა მაინც აწიონ,"** - ამბობს მერაბიშვილი.

რამდენიმე დღეა კახეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი მუშაობს. დაზარალებულ მოსახლეობას, მთავრობის 5-პუნქტიანი გეგმის მიხედვით, სასურსათო პაკეტს - თითო ოჯახს 2 ლიტრ ზეთს და 5-5 კილოგრამ შაქარს და მაკარონს აძლევენ, ასევე შხამ-ქიმიკატებსა და დიზელსაც ურიგებენ. გარდა ამისა, დაზიანებულ სახლებს ხურავენ.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტიქიით დაზარალებული ოჯახების სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის გადავადების ინიციატივით გამოვიდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ბრძოლა დამასკოში და ქიმიური იარაღის საფრთხე

ხათუნა გაბიევი

სირიის დედაქალაქში, სამთავრობო რაიონებიდან ამბოხებულთა გასვლის მიუხედავად, სროლა არ წყდება. ინტენსიური იერიში გრძელდება ბარზეჰის კვარტალში, სადაც ტანკებისა და ჯავშანმანქანების პარალელურად ავიაციაც მოქმედებს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ასადის არმიამ უკვე მოიპოვა კონტროლი მაზეჰის რაიონზეც.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ივნისის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი დღეში 4,96 ლარია

რა შეცვალა ახალმა მეთოდოლოგიამ

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმის ახალ სტატისტიკას აქვეყნებს. "საქსტატის" მონაცემებით, 2012 წლის ივნისში, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 149 ლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში. ამ მონაცემების მიხედვით, დღეში საარსებო თანხის მოცულობა 4,96 ლარია.

ერთი წლის წინათ ეს მაჩვენებელი 158,6 ლარი იყო. საარსებო მინიმუმის ასეთი დაბალი მაჩვენებელი 2010 წლის დეკემბრის (149,6 ლარი) შემდეგ არ დაფიქსირებულა. 2012 წლის ივნისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 132 ლარი შეადგინა; 2011 წლის ივნისში - 140,5 ლარი, საშუალო ოჯახისამ - 249,9 ლარი (2011 წლის ივნისი - 266 ლარი).

ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი, სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის ივნისში 132 ლარია (2011 წლის ივნისი - 140,5 ლარი), ექვსსულიანისა და მეტის - 351 ლარი (2011 წლის ივნისი - 373,6 ლარი). საარსებო მინიმუმი, 18-თვიანი ზრდის შემდეგ, თებერვლიდან მცირდება.

რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, მას "საქსტატი" 2004 წლიდან იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია "საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N 111/ნ ბრძანების შესაბამისად.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6559⇓
1 ევრო	2.0378⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5983⇓
1 თურქული ლირა	0.9179⇓
100 რუსული რუბლი	5.1624⇓

თბილისი	30°C - 21°C
ქუთაისი	36°C - 23°C
თელავი	31°C - 17°C
ზუგდიდი	34°C - 21°C
ბათუმი	29°C - 20°C

ნავთობი	2.91	-0.04	-1.29%
გაზი	3.04	+0.04	+1.45%
ოქრო	1,581.50	+1.10	+0.07%
ხორბალი	934.25	-0.75	-0.08%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ქართული შვიდკაცა მსოფლიო თასზე

სოსო კოტორეიშვილი

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრები გაისად მოსკოვში გასამართ მსოფლიოს თასზე ითამაშებს. ეს უფლება კახა ალანიას გუნდმა პორტუგალიაში ახლახან დასრულებულ მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე მოიპოვა - ალგარვეში "შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" მეოთხე ადგილი დაიკავეს, რაც საკმარისი გამოდგა მსოფლიოს თასის საგზურის მოსაპოვებლად.

"ევროპული გრან-პრის" პორტუგალიურ ტურნირამდე ჩვენებურებმა საწყის ორ ეტაპზე სახარბიელო შედეგი ვერ აჩვენეს, რაზეც ნაკრების მენეჯერმა გიორგი ასათიანმა თქვა, ეს ეტაპები ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად გამოვიყენეთ, მიზანი მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვებაა და დარჩენილ ეტაპებზე ამას შევძლებთო. შეძლეს კიდეც - ჯერ დანიურ ოდენსეში ექვსი მატჩიდან ოთხი მოიგეს, დაამარცხეს შოტლანდია, სერიის ახალი ჩემპიონი ინგლისი, მეხუთე ადგილი დაიკავეს და სინიც მოიპოვეს.

მსოფლიო საგზურის გასანაღდებლად კახა ალანიას გუნდს პორტუგალიურ ეტაპზე მოწინავე ოთხეულში მოხვედრა სჭირდებოდა. "ქართულ შვიდკაცას" B ჯგუფში მეტოქეებად გერმანია, ბელგია და საფრანგეთი ერგოთ.

"შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" პირველ დაპირისპირებაში გერმანელები 21:10 დაამარცხეს, მერე ბელგიას 19:7 მოუგეს და ბოლო მატჩში ჯგუფის ფავორიტად შერაცხილი საფრანგეთიც არ დაინდეს - 33:17.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ 4,96 ᲚᲐᲠᲘᲐ

პირველი გვერდიდან

2004 წლამდე "საქსტატი" საარსებო მინიმუმის მაჩვენებლების გაანგარიშებას სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ახორციელებდა. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიოდისთვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის სხვაობა. 2012 წლის იანვრისთვის კი "საქსტატმა" საარსებო მინიმუმის შემდეგი მონაცემები გამოაქვეყნა: შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი - 157,2 ლარი თვეში; საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი - 139,3 ლარი თვეში; საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი - 263,7 ლარი თვეში.

საერთოდ კი, სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულ იქნა ფასების სამმართველოს მიერ მოწოდებული, სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული ანალოგიური მონაცემების შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის მოცემულ თვეში.

საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70 პროცენტით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი

განისაზღვრება 30 პროცენტით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო კალათა სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის) გასაანგარიშებლად გამოიყენება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, 2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნება. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას წარმოადგენს, რომელსაც ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს. განახლებული სამომხმარებლო კალათა მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას ასახავს, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს.

როგორც "საქსტატში" აღნიშნავენ, სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად მოიხმარენ. კალათის განახლება 3 წელიწადში ერთხელ ხდება. უკანასკნელად ის 2010 წლის იანვარში განახლდა. ამჟამად კალათა 266 სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას შეიცავს.

"საქსტატში" აცხადებენ, რომ 2011-თან შედარებით, კალათის ღირებულება 2,1 პროცენტით შემცირდა. დეფლაციამ სურსათის პროდუქტებზე 3,5 პროცენტი შეადგინა, თუმცა კომუნალური გადასახადების და ტრანსპორტის გაძვირებამ ეს მაჩვენებელი 2,1 პროცენტამდე დაწია. "საქსტატის" ცნობით, სასურსათო პროდუქტებს შორის ყველაზე მეტად გაიაფდა ბოსტნეული - 35 პროცენტით, სამაგიეროდ ხორცი 15 პროცენტით გაძვირდა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ დავით ნარმანიას მიაჩნია, რომ სამომხმარებლო კალათის გაიაფების საფუძველი არ არსებობს. მისი განცხადებით, "სამომხმარებლო კალათის დათვლის მეთოდოლოგია შეცვლილია, ამიტომ გასული და წლევანდელი პერიოდების შედარებით პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა რეალურ სურათს მოკლებულია. კალათაში გაიაფებული პროდუქტების ხვედრითი წილი გაძვირებული საქონლის შემცირების ხარჯზეა გაზრდილი და სურსათზე ფასები რეგიონების მიხედვით არის გამოყვანილი, სადაც თბილისთან შედარებით საქონელი იაფია. დავით ნარმანიას თქმით, ამ მეთოდოლოგიით დედაქალაქში მცხოვრებთა მდგომარეობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო დედაქალაქში მოსახლეობის 40 პროცენტია თავმოყრილი". დავით ნარმანიას თქმით, ამ ხარვეზების ფონზე სამომხმარებლო კალათის ღირებულება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მკვეთრად არ შეცვლილა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში დღეისათვის ადგილობრივი და უცხოური ბანკების 120-მდე ფილიალი ფუნქციონირებს. ამჟამად საქართველოში წარმოდგენილია შემდეგი უცხოური ბანკები: თურქული (HALYK BANK, Ziraat Bank), აზერბაიჯანული (The International Bank of Azerbaijan), რუსული (VTB), ყაზახური (BTA), გერმანული (Procredit Bank), ფრანგული (Bank Republic-Societe General), უკრაინული (TAO-Privat Bank).

უკანასკნელ პერიოდში საქართველო დატოვა ცნობილმა ბრიტანულმა ბანკმა HSBC.

ამჯერად კი ქართულ საბანკო ბაზარზე თურქეთის უმსხვილესი ბანკი «იშბენკი" შემოდის. არსებული ცნობებით, საქართველოში შემოსვლისთვის ბანკს ყველა პროცედურა მოგვარებული აქვს.

«იშბენკი" ყველა რეიტინგის მიხედვით თურქეთის უმდიდრესი ბანკია, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1924 წელს დაარსდა. მისი ბიზნესსტრატეგია დღეისათვის როგორც ადგილობრივ ბაზარზე მაქსიმალური გაძლიერება, ისე ქვეყნის გარეთ აქტიური ექსპანსიაა. კომპანია, საფინანსო სექტორის გარდა, სხვა ბიზნესებშიც ოპერირებს, მათ შორის, მინის წარმოებაში, ტელეკომუნიკაციებში, მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში. საქმიანობის დაწყებიდან «იშბენკს» წილი აქვს 291 კომპანიაში.

ბანკს ამ დროისთვის 1200-ზე მეტი ფილიალი აქვს თურქეთსა და მთელ მსოფლიოში. 2011 წელს გავლენიანმა ჟურნალმა «ბენქერმა" «იშბენკი" მსოფლიოში ყველაზე დიდ თურქულ ბანკად დაასახელა.

ბანკმა საქართველოში, ბათუმის ფილიალის სახით ოპერირების ლიცენზია, საქართველოს ეროვნული ბანკიდან უკვე მიიღო.

ექსპერტთა ნაწილი საქართველოში უცხოური ბანკების წინასაარჩევნო პერიოდში შემოსვლას და კარგ საინვესტიციო გარემოს შორის კავშირს ზედმეტად გაზვიადებულად მიიჩნევს. შეგახსენებთ: ბოლო პერიოდში საქართველოთი რამდენიმე უცხოური ბანკი დაინტერესდა. ეს არის, იგივე, «იშბენკი" და გერმანული «კომერცბანკი", რომელმაც თბილისში წარმომადგენლობა უკვე გახსნა.

როგორც «საქართველოს ბანკების ასოციაციამ" «იშბენკის" შემოსვლის კომენტირებისას განაცხადა, ბანკი საპარლამენტო არჩევნებს არ დაელოდა და ფილიალის გახსნა გადაწყვიტა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში კარგი საინვესტიციო გარემოა.

საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალ «ბი პი აის" დირექტორის ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, «იშბენკის" შემოსვლა საპროცენტო განაკვეთებსა და ბანკების მომსახურების ხარისხზე დადებითად იმოქმედებს. მისივე თქმით, დღეისათვის საბანკო სექტორში პოზიტიური მაჩვენებლებია, თუმცა ახალი მოთამაშის გამოჩენის ზოგადად საინვესტიციო გარემოზე განზოგადება არასწორია. ამასთან, ყველა ახალი მოთამაშის გამოჩენა ბაზარზე როგორც საპროცენტო განაკვეთებზე, ისე მომსახურების ხარისხზე დადებითად იმოქმედებს. მისივე თქმით, «იშბენკი" აჭარაში შევიდა, სადაც ბევრი თურქული ბიზნესია და მისი კლიენტურის დიდი ნაწილი სწორედ თურქები იქნებიან.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ გვასალიას განცხადებით, ეროვნულმა ბანკმა "იშბენკის» ბათუმის ფილიალზე ლიცენზია მიმდინარე წლის 13 ივლისს გასცა. მისი თქმით, «ბანკი თურქეთის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაარსებიდან დღემდე. ბანკმა მთელი ამ 87 წლის განმავლობაში დანაზოგების ტრანსფორმაცია მოახდინა როგორც ინვესტიციებში, ასევე ქვეყნის ყველა სფეროს დაფინანსების მიმართულებით, განსაკუთრებით კი, მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში. დღეისათვის «იშბენკში" დასაქმებულია 24 ათას ადამიანზე მეტი, ბანკი წარმოადგენს თურქეთის წამყვან ბანკს აქტივების მოცულობის მიხედვით. კერძოდ, მისი აქტივებია 89 მილიარდი აშშ დოლარი, რითიც ბაზრის 13 პროცენტს იკავებს.

ბანკი, როგორც უმსხვილესი თურქული საფინანსო ჯგუფი, აქტიურია როგორც კორპორატიული, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის, სამომხმარებლო სეგმენტის დაკრედიტებაში. საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, წამყვანი თურქული ბანკის საქართველოში შემოსვლა, ისევე როგორც ცოტა ხნის წინ წამყვანი გერმანული ბანკის "კომერცბანკის" წარმომადგენლობის გახსნა, კიდევ ერთხელ ადასტურებს საბანკო სექტორის მდგრადი და სტაბილური განვითარების ტენდენციებს და ამსხვრევს სკეპტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილის გარკვეულ თვალსაზრისს, ქართული საბანკო სექტორის არასათანადო სიჯანსაღის ხარისხთან დაკავშირებით. ის გარემოება, რომ წამყვანმა თურქულმა ბანკმა თავისი საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში დაიწყო და არ დაელოდა არჩევნების დამთავრებას, მიუთითებს, ერთის მხრივ, მის გრძელვადიან მიზნებზე და, მეორეს მხრივ, ზოგადად ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობაზე. რაც მეტი წამყვანი საერთაშორისო დონის საბანკო ინსტიტუტი შემოვა ქვეყანაში, მით უფრო გაიზრდება შიდა საბანკო კონკურენცია და საბანკო მომსახურების ხარისხი. შესაბამისად, გაიზრდება ახალი საბანკო პროდუქტების შემოთავაზების ინტენსივობაც, რაც სერიოზულად დასწევს საბანკო საპროცენტო განაკვეთებს როგორც დეპოზიტებზე, ასევე სასესხო პროდუქტებზე.

სასამართლო მედიატორებს ტრენინგებს მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები ჩაუტარებენ

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ტრენინგები მედიატორობის იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სასამართლო მედიაციის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელზეც 21 კანდიდატი შეირჩა.

მომავალ სასამართლო მედიატორებს ტრენინგებს ჩაუტარებს ამ დარგში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ინგლისური ორგანიზაცია CEDR - დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი, რომლის ოფისიც ლონდონშია.

ინგლისელ სპეციალისტთა საქართველოში ჩამოსვლა შესაძლებელი გახდა სასამართლო ხელისუფლების, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ბრიტანული კომპანიის სპეციალისტები მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებს სწავლებას ორ ეტაპად ჩაუტარებენ და ინდივიდუალურ რეჟიმში შეასწავლიან მედიატორის პროფესიას. საბოლოოდ, ტრენინგ პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ, შეირჩევა 18 მედიატორი. კომპანია შერჩეულ ქართველ მედიატორებს სერთიფიკატებს გადასცემს, რომელიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაშია აღიარებული.

ტრენინგების დასრულების შემდეგ მედიატორები მედიაციის პროცესებს წარმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ნოემბრის ბოლოს მედიაციის საპილოტე პროექტი ამოქმედდება.

მედიაცია გარკვეული კატეგორიის საქმეებზე იქნება სავალდებულო. თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ არსებობს დიდი ალბათობა მხარეების შეთანხმებისა, საქმე გადაეცემა მედიაციას. სავალდებულო მედიაციას განეკუთვნება: საოჯახო და საქორწინო ურთიერთობები და სამეზობლო დავები. თუმცა, ყველა დანარჩენი კატეგორიის სამოქალაქო დავაზე მოდავე მხარეებს ნებაყოფლობით შეუძლიათ საქმე მედიაციაზე გადაიტანონ.

მედიაციისას მიღებულ შედეგს სამართლებრივად სასამართლო ადასტურებს. თუ მიღწეულ შეთანხმებას რომელიმე მხარე არ შეასრულებს, მაშინ სასამართლო იღებს განჩინებას და მედიაციისას მიღებული გადაწყვეტილება იძულებით აღსრულებას გადაეცემა, თუმცა, არსებული პრაქტიკით, მედიაციისას ასეთი შემთხვევები ძალზე ცოტაა.

სავალდებულო სასამართლო მედიაცია თანხებთან არ არის დაკავშირებული, მედიატორები მხარეებს სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარებიან კონფლიქტის მოგვარებაში.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თუ სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეს სახლემწიფო ბაჟის - 3 პროცენტის გადახდა უწევს, საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში ბაჟის ოდენობა - 1 პროცენტია. მედიაციის პროცესში მხარეთა მიერ ურთიერთშეთახმების მიღწევის შემთხვევაში კი, 1 პროცენტიდან 70 პროცენტი მხარეს უბრუნდება. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო და მხარე დამატებით 2 პროცენტს გადაიხდის, ანუ მთლიანობაში 3 პროცენტს, როგორც ამ კატეგორიის საქმეების განხილვისათვისაა კანონმდებლობით დადგენილი.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან მედიაცია ეს არის ადამიანის არჩევანი: მის მაგივრად მოსამართლემ გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ მედიაციისას - საკუთარი პრობლემა თავად მოაგვაროს საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მთავრობა კახეთში ღვინის დარიგებას აპირებს

პირველი გვერდიდან

სამუშაოების დასრულებამდე კი კახეთში რეზერვისტები დარჩებიან და მოსახლეობის დახმარებას გააგრძელებენ. თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა. მინისტრი თელავში ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სამხედრო ბაზას თავდაცვის უწყების წარმომადგენლებთან და კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილთან ერთად ესტუმრა. მათ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და კახეთის მოსახლეობის სახელით სამხედრო მოსამსახურეებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს.

კახეთის რეგიონში 1300 რეზერვისტი იმყოფება. ადგილზე საინჟინრო ბატალიონი და სპეციალური ტექნიკა მუშაობს. ამასთან, კახეთის მოსახლეობის დასახმარებლად საველე ჰოსპიტალი ფუნქციონირებს. თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო პერსონალი დაზარალებულ მოსახლეობას უფასოდ ემსახურება.

საკუთარი ინფორმაცია

ივანიშვილს კახეთში სააკაშვილი ელანდება

გუშინ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში 19 ივლისს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა და დახმარებას დაჰპირდა. ივანიშვილმა 75-მილიონიანი ჯარიმიდან 10 მილიონი ლარი სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხა. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, თანხა სტიქიით დაზარალებულებს მოახმაროს.

სოფლის მოსახლეობა ივანიშვილს დახმარების თხოვნით მიმართავდა. ისინი ამბობდნენ, რომ მთავრობამ დახმარება გაუწია, სახლები გადაუხურა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სოფლებში კურდღელაურსა და ვაჩნაძიანში ივანიშვილმა დაზარალებულებს მიმართა: **"სახელმწიფო ბიუჯეტში 10 მილიონი ჩავრიცხე. მარტო გაბედონ და არ გაგიკეთონ! და თუ ასე მოხდება, მერე ჩვენ გაგიკეთებთ, როცა ხელისუფლებაში მოვალთ. მუდმივად გატყუებენ, ასე აღარ გამოვა. დახმარება მხოლოდ სახურავის გადახურვა არ არის, ეს მხოლოდ 20 პროცენტია, მთავარი სიმდიდრე სახლში გექნებოდათ, თქვენ უფრო მასშტაბური დახმარება გჭირდებათ."**

ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი სულაც არ არის ქვეყნის აღმშენებელი. «ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, საქართველოში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლები აღმშენებლობაა. ივანიშვილი ამბობს, რომ ხელისუფლების ხელწერა მისივე ქმედებებში იგრძნობა და ამის მაგალითად თელავში კოალიციის ოფისის კიბეების დანგრევა მოჰყავს. **მიბრძანდით და თელავში ჩვენი შენობა ნახეთ. წუხელ მისულან ჩვენს ოფისში, კიბეები დაუნგრევიათ და ეს დამახვედრეს საჩუქრად. იქ ეჭვი აქვთ, რომ საჭესთან თავად სააკაშვილი მართავდა. კამერებმა ამოიცნეს, რომ საჭესთან მჯდომი სააკაშვილს ჰგავს. შეიძლება სააკაშვილი არ ყოფილა, მაგრამ მისი ლანდი რომ იყო, ეს ფაქტია,"** - ამბობს ივანიშვილი.

ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე ოჯახსაც ესტუმრა და დახმარებას დაჰპირდა. თუმცა, როგორც "ინტერპრესნიუსი" იტყობინება, ის სოფელ ვაჩნაძიანში ქართული ენის პედაგოგმა ელზა პარკაულმა სახლში არ შეუშვა. პედაგოგის თქმით, მას ბიძინა ივანიშვილი სახლში რომ შეეშვა, სკოლიდან გაათავისუფლებდნენ. **"ძალიან გთხოვთ, არ გადამიღოთ, სკოლიდან გამათავისუფლებენ. კალაურში ივანიშვილის მხარდაჭერისთვის მასწავლებელი მოხსნეს,"** - ამბობს ელზა პარკაული.

ამავე სოფელში ბიძინა ივანიშვილს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის ალექსი ნატროშვილის დედამ ნათელა ნატროშვილმა რუსეთის მიერ მართული ძალა უწოდა. ქუჩაზე, სადაც ივანიშვილმა თანმხლებ პირებთან ერთად ჩაიარა, ნათელა ნატროშვილი იდგა და ივანიშვილს მიმართავდა: **"ვინც რუსეთისკენ იწევს, ის ხალხი აქ არ უნდა იყოს. ჩემი შვილი 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა, ეს ქუჩა ჩემი შვილის სახელს ატარებს და ივანიშვილის მსგავსი ხალხი საქართველოს არ სჭირდება. საქართველოს ის ადამიანი სჭირდება, ვინც ქართულ საქმეს გააკეთებს. ქართული ოცნება ის არ არის, რომ რუსეთში შეძვრეს ადამიანი. ახლა თუ სტიქიამ გაგვანადგურა, 2008 წელს რუსეთმა გაგვანადგურა და ყოველთვის გვანადგურებდა. ბიძინას მოსვლის შემდეგ, იქნებ საფლავიდანაც ამომიგდონ ჩემი შვილი."**

"ქართული ოცნების" ლიდერი გარდაცვლილი ჯარისკაცის დედის რეპლიკებს არ გამოხმაურებია.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილის სოფელ ვაჩნაძიანიდან წავიდა, სოფელში ინციდენტი მოხდა. ბიძინა ივანიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერმა ქალმა სიტყვიერად შეურაცხყო. შელაპარაკების შემდეგ მას ივანიშვილის მხარდამჭერმა მამაკაცმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საკუთარი ინფორმაცია

სტრუქტურული ცვლილებები შსს-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა. ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში შევიდა, რომელიც საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა.

ცვლილებების მიხედვით, სპეციალური ღონისძიებების დეპარტამენტს სახელწოდება შეეცვალა და ოპერატიული მართვის, კოორდინაციისა და ანალიზის დეპარტამენტი დაერქვა შესაბამისად,. შეიცვალა დეპარტამენტის ფუნქციებიც. სპეციალური ღონისძიებების დეპარტამენტის დანიშნულება იყო: სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და რეაგირება; თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და ამ კოდექსით გათვალისწინებულ ფარგლებში წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა.

სახელწოდების შეცვლის შემდეგ კი, დეპარტამენტის ფუნქციები მცირდება და მას დაეკისრება სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა ოპერატიული დანაყოფების კომპეტენციაში შემავალი ამოცანების შესრულების კონტროლი, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ანალიზი; სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; დეპარტამენტის ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო და სპეციალური ღონისძიებების განხორციელება და კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სამმართველო, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი გახდა და შეიცვალა მისი ფუნქციებიც.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სამმართველო აქამდე უზრუნველყოფდა დონორ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებასა და სტრატეგიული პროექტების განხორციელებას (ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საკანონმდებლო ჰარმონიზაციის უზრუნველყოფას).

ცვლილებების შემდეგ, ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც დონორ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებას, ასევე, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მომზადებას, სამინისტროს ქვედანაყოფების საქმიანობის ხელშეწყობას საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების, დონორ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან კოორდინაციის, პროექტების მართვის კუთხით და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი დეპარტამენტიც შეიქმნა - პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი. ეს სტრუქტურა განსაზღვრავს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან მოთხოვნებს სამინისტროს მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ასევე, შეიმუშავებს თანმიმდევრულ გეგმებს განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად; შეიმუშავებს რეფორმების მოკლე, საშუალო და გრძელვადიან გეგმებს და ხელს შეუწყობს სამინისტროში არსებული სტრატეგიული განვითარების პროგრამების განხორციელებას.

შეიცვალა კრიმინალური პოლიციის ფუნქციებიც. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნისა და დაკავების, ამოუცნობი ცხედრის დადგენის უზრუნველყოფას; არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულთა აღმკვეთი პრევენციული ღონისძიებების ორგანიზებას. აქამდე, კრიმინალური პოლიციის ფუნქციებში ასევე შედიოდა ბაქო-სუფსის მაგისტრალურ მილსადენთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, რისი უფლებაც ცვლილებების შედეგად, აღარ ექნება.

გარდა ამისა, კრიმინალური პოლიცია თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ გამოძიებას განახორციელებს. ასევე, კრიმინალური პოლიციის კომპეტენცია გახდა კიბერდანაშაულის გამოიძიებაც.

"მემარჯვენეები" სტიქიით დაზარალებულებს ეზოების დასუფთავებაში დაეხმარნენ

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერები დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე, პარტიის აქტივისტებთან ერთად, გუშინ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას სტიქიის ნარჩენებისგან ეზოების დასუფთავებაში დაეხმარნენ.

დავით გამყრელიძემ ელქტროხერხით ადგილობრივ მოსახლეობას შეშა დაუჭრა.

"დღევანდელი აქციის მიზანია, რომ სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებს, რომლებსაც სხვა დამხმარე არ ჰყავთ, მივეხმაროთ და სოლიდარობა გამოვუცხადოთ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მოკრძალებული დახმარებაა, რადგან ზარალი უზარმაზარია და მათ ბევრად მეტი დახმარება და მხარში დგომა სჭირდებათ, ვიდრე ჩვენ მიერ ერთი დღის განმავლობაში გაწეული ფიზიკური დახმარებაა, მაგრამ ჩვენ რაც შეგვეძლო, ის გავაკეთეთ," - დასძინა ფიქრია ჩიხრაძემ.

მომსახურების კლასის გაუარესებისას ავიაკომპანიას მგზავრისთვის ანაზღაურების მიცემა მოუწევს

ფრენისას მომსახურების კლასის გაუარესების გამო ავიაკომპანიას მგზავრისთვის ანაზღაურების მიცემა მოუწევს, -ამას ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება "საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისთვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ"

ბრძანების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ავიაგადამზიდველს მგზავრი გადაჰყავს მომსახურების მაღალ კლასზე იმ კლასთან შედარებით, რომლისთვისაც ბილეთი შეძენილი იყო, მას უფლება არ ექნება, მგზავრს მაღალი კლასით მომსახურებისთვის თანხის დამატება მოსთხოვოს; ხოლო, თუ ავიაგადამზიდველს მგზავრი გადაჰყავს შეძენილი ბილეთის კლასთან შედარებით მომსახურების დაბალ კლასზე, მაშინ კომპანია ვალდებული იქნება, ჯავშნით ან/და ბილეთით გათვალისწინებული ფრენის დღიდან შვიდი დღის განმავლობაში ბილეთის ღირებულების ნაწილი აუნაზღაუროს.

კერძოდ: ბილეთის ღირებულების 30 პროცენტი - 1500 კილომეტრამდე მანძილზე; 50 პროცენტი - 1500-დან 3500 კილომეტრამდე მანძილზე და 75 პროცენტი - 3500-ზე მეტ მანძილზე.

ეს წესი გავრცელდება მგზავრებზე, რომლებიც მიფრინავენ საქართველოდან სხვა ქვეყნებში საქართველოს ან უცხო ქვეყნის ავიაგადამზიდველის მეშვეობით და ასევე მგზავრებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან მოფრინავენ საქართველოში საქართველოს ავიაგადამზიდველის მეშვეობით.

ახალი წესები ძალაში შევა 1-ელი სექტემბრიდან.

პატრიარქის თხოვნა ჟურნალისტებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჟურნალისტებს სთხოვს, არ დაუშვან, რომ ქართველი ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდეს. როგორც უწმინდესმა გუშინდელ საკვირაო ქადაგებაში ბრძანა, არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სასულიერო პირი თავის აზრს გამოთქვამს და მას უკვე მტრად მიიჩნევენ. პატრიარქის განმარტებით, ყველა ადამიანი თავისუფალია და უფლება აქვს, გამოთქვას საკუთარი აზრი.

უწმინდესმა ასევე მწუხარება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ხანდახან პრესა სავსეა სასულიერო პირებთან დაკავშირებული განცხადებებით. "ხშირად ვკითხულობ, რა თქვეს და როგორ თქვეს მეუფე იობმა, მამა ტარიელმა. მათ თავიანთი აზრი გამოთქვეს და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მტრები არიან. ისინი ისეთივე შვილები არიან ღვთისა და სამშობლოსი, როგორიც ყველა. გთხოვთ ჟურნალისტებს, ნუ დაჰყოფთ ხალხს. ეს არის ხალხის დაყოფა. დაუშვებელია, რომ ჩვენი ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდეს," - ბრძანა უწმინდესმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთელი მოსახლეობა დღეს პოლიტიზებული გახდა და პოლიტიკამ შეცვალა ადამიანი, რაც არ შეიძლება. როგორც უწმინდესი აღნიშნავს, თითოეულ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ფასეულობები - ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, მამული, ენა, სარწმუნოება. "ამას უნდა ვიცავდეთ და ვემსახურებოდეთ ყველა ადამიანი," - ბრძანებს უწმინდესი.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

ბრძოლა დამასკოში და ქიმიური იარაღის საფრთხე

პირველი გვერდიდან

შეტაკებებია სირიაში სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოშიც. ათასობით მოქალაქე ცდილობს, თავს გაქცევით უშველოს. სახელისუფლებო საჯარისო შენაერთები ამბოხებულებისგან სალაჰედინის, საჰურის, ჰანანისა და სეიფ ედ-დავლას კვარტლების გაწმენდას შეუდგნენ.

სახელმწიფო ტელევიზიამ შეიარაღებული ოპოზიციისგან ამოღებული არსენალის კადრები გადასცა. ამბოხებულებთან შეტაკება არმიას სამთავრობო სპეცსამსახურების ერთ-ერთ მსხვილ ბაზასთანაც მოუხდა. კვირას კი, გამთენიისას მმართველი რეჟიმის მოწინააღმდეგეებმა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მამის ჰაფეზ ასადის ქვის ქანდაკება გაანადგურეს.

გააფრთებული ბრძოლებია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ დეირ ალ-ზორშიც, სადაც, თვითმხილველთა ცნობებით, სამთავრობო ძალები მეამბოხეებს არტილერიით, რაკეტებითა და სამხედრო ვერტმფრენებით უტევენ. დაბომბილია ქალაქის ძველი აეროპორტის ტერიტორიაც, რომელიც დამასკოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 270 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

«სირიის თავისუფალი არმიის» კონტროლქვეშ კი რჩება სასაზღვრო რაიონები. ერაყის სასაზღვრო პერიმეტრზე დაკავებულ საგუშაგო-გამშვებ პუნქტებს თურქეთის საზღვართან 8 საგუშაგოც დაემატა, მათ შორი, ბაბ ელ-სალამის პუნქტი.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სირია-ლიბანის საზღვარი ათასობით სირიელმა გადაკვეთა. ხელისუფლებამ ბეირუთში სირიული ოჯახებისთვის დროებითი საცხოვრებლების გამოყოფის თაობაზე განკარგულება უკვე გასცა. რამთას საგუშაგო-გამშვებ პუნქტზე კი გუშინ მავთულხლართი გაჭრეს, საიდანაც ათასობით ლტოლვილი მეზობელ იორდანიის სამეფოში გადავიდა. "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის მონაცემებით, თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში ამჟამად თავს დაახლოებით 450 ათასი ლტოლვილი აფარებს. რაც შეეხება სირიაში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას - იგი მილიონ ხუთასი ათასამდეა.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ შაბათს გაავრცელა ინფორმაცია, რომ სირიაში ქიმიური იარაღის არსენალზე კონტროლს ჯერ-ჯერობით ინარჩუნებს მმართველი რეჟიმი. ოფიციალური ვაშინგტონი ყურადღებით აკვირდება სირიაში მიმდინარე მოვლენებს და, პარალელურად, უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციებს სირიის მეზობლებთან აწარმოებს. საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთების მიზეზს, სირიაში უდანაშაულო ხალხის დაღუპვის გარდა, სირიის ქიმიური იარაღიც წარმოადგენს, რათა არსენალი ხელში "ალ-კაიდასთან" დაკავშირებულ ტერორისტულ დაჯგუფებებს არ ჩაუვარდეს.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა გუშინ თელ-ავივშიც მინისტრთა კაბინეტის სხდომა, სადაც სიტყვით პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ წარდგა. მან თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის ეჰუდ ბარაკის მსგავსად, სირიული «წარმოშობის» ქიმიური იარაღის გადაცემის საფრთხეზე ისაუბრა. დახვეწილი ტექნოლოგიების მქონე იარაღით მარტივად შეიძლება ისრაელისთვის საფრთხის შექმნა, თუკი ქიმიურ არსენალს "ალ-კაიდასთან" ან ლიბანურ ექსტრემისტულ ორგანიზაცია "ჰეზბოლასთან" დაკავშირებული დაჯგუფებები ძალით მოიპოვებენ. **"ამჟამად სირიის რეჟიმი ქიმიურ არსენალზე კონტროლს ინარჩუნებს,"** - განაცხადა ისრაელის სამხედრო რადიოსთან კომენტარში ისრაელის თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური დაგეგმარების განყოფილების წარმომადგენელმა ამოს გილადმა. თუმცა, ამის მიუხედავად, ისრაელის უსაფრთხოების ზომები უკიდურესადაა გამკაცრებული. გილადის კომენტარს წინ ეჰუდ ბარაკის განცხადება უსწრებდა. **"ჩვენი ბრძანების თანახმად, ისრაელის არმია მზად იქნება იმ შემთხვევისთვის, თუ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის რეალური საფრთხე გაჩნდება. ისრაელის სახელმწიფოსთვის მიუღებელია ის ფაქტიც, რომ სირიიდან ლიბანში თანამედროვე ტიპის შეიარაღების სისტემების გადაცემა ხდებოდეს,"** - აღნიშნა ეჰუდ ბარაკმა ერთ-ერთ სატელევიზიო არხთან ინტერვიუში. თავდაცვის მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ სირიელი ლტოლვილები არ დაიშვებიან გოლანის მაღლობებზე, რათა სასაზღვრო ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების ფორმირება არ მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეგვიპტის სინას მთის მსგავსი ვითარება შეიქმნას.

რუპერტ მერდოკმა "ნიუს ინტერნეიშენალ"-ის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა

მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა დატოვა თითქმის ყველა თანამდებობა, რომელიც მას «News Corporation"-ში ჰქონდა დაკავებული. უფრო კონკრეტულად, ის აღარ იქნება «News International Group Ltd","NewsCorp Investments" და «Times Newspaper Holdings"-ის ხელმძღვანელი. მთლიანობაში მერდოკმა მის მიერ დაკავებული დაახლოებით ათი სხვადასხვა თანამდებობა დატოვა.

«News Corporation"-ი ორ ნაწილად გაიყოფა, ერთი კომპანია დაკავებული იქნება გაზეთებისა და წიგნების გამოცემით, ხოლო მეორე - ტელევიზიებითა და ფილმების წარმოებით. სავარაუდოდ, 81 წლის მერდოკი სატელევიზიო მიმართულების ხელმძღვანელი იქნება. «News International»-ში შედის ბრიტანეთში გამომავალი გაზეთები «Times» , «Sun" და «Sunday Times».

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კორპორაცია ამ გადადგომას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. «News International"-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მერდოკის განთავისუფლება დირექტორთა საბჭოს რამდენიმე პოსტიდან კომპანიის რეორგანიზაციასთან არის დაკავშირებული.

«News Corporation"-ის ორ კომპანიად გაყოფის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს გავრცელდა. ეს დაყოფა, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან გამიჯნავს კორპორაციის შემოსავლიან და პერსპექტიულ აქტივებს ბრიტანული საგაზეთო ბიზნესისგან, რომელმაც საკმაოდ რთული პერიოდი გადაიტანა სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებული სკანდალის გამო.

საბოლოოდ ამერიკული ტელეარხი «Fox" და მერდოკის წილი ბრიტანულ «BskyB"-ში კორპორაციის მედია-გასართობი ფრთის ნაწილი გახდებიან, საგამომცემლო სახლი «Harper Collins"-ი კი ბეჭდვით გამოცემებს შეუერთდება.

მერდოკის მედიაიმპერიის ბეჭდვით განყოფილებაში შევა ბრიტანული გაზეთები «Sun"-ი და "Times"-ი, ამერიკული «Wall Street Journal"-ი და "New York Post"-ი, ასევე ავტრალიური «Australian"-ი. მასში ასევე გაერთიანდება საინფორმაციო ჯგუფი «Dow Jones Newswire", თავისი საგანმანათლებლო პროდუქციით.

რუპერტ მერდოკის განცხადებით, ბიზნესის გაყოფა «გრძელვადიან გეგმებში აქციონერებს უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია."

ცოტა ხნის წინს «News Corporation"-ი და მისი დამაარსებელი დიდ სკანდალში გაეხვივნენ, რომელიც ტელეფონების მოსმენასა და სხვა მსგავს ქმედებებს უკავშირდებოდა. ამის შესახებ მასალები ქვეყნდებოდა ტაბლოიდში «News of the World"-ი. გასულ წელს ეს გაზეთი დაიხურა. მათი განცხადებით, სატელეფონო მოსმენის მსხვერპლი დაახლოებით ექვსი ათასი ადამიანი გახდა, რომლებითაც 2001-2006 წლებში დაინტერესებულნი იყვნენ "NoW"-ის ჟურნალისტები. «News Corp"-მა დღეისათვს უკვე ათობით სამოქალაქო საქმეზე გადაიხადა კომპენსაცია.

პოლიციამ გამოძიება 2011 წლის იანვარში ჩაატარა და მოკლე დროში რამდენიმე ათეული ეჭვმიტანილი დააპატიმრა, თუმცა დამნაშავედ ჯერ არც ერთი არ უცვნიათ.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ბულგარეთის პოლიცია ტერორისტის ამოცნობას ჭერ ვერ ახერხებს

სამართალდამცავები ჯერ ვერ ახერხებენ იმ თვითმკვლელი-ტერორისტის ვინაობის დადგენას, რომელმაც ბურგასის აეროპორტთან, ავტობუსში თავი აიფეთქა. იმ ტერაქტს შეეწირა ხუთი ტურისტი ისრაელიდან და ბულგარელი მძღოლი, არიან დაჭრილებიც. ბულგარეთის პოლიციის მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებზე ჩანს თეთრკანიანი მამაკაცი გრძელი თმით და დიდი ზურგჩანთით. თუმცა არის თვითმხილველის ჩვენებაც, რომლის თანახმადაც, ეჭვმიტანილი მუქკანიანი იყო, მოკლედ შეკრეჭილი თმით, ინგლისურად კი არაბული აქცენტით ლაპარაკობდა. არ არის გამორიცხული, რომ მას პარიკიც ეკეთა. პოლიცია სწავლობს სავარაუდო თვითმკვლელი ტერორისტის თითის ანაბეჭდებსა და დნმ-ს. ამაში ბულგარელებს ამერიკელი კოლეგები ეხმარებიან ცენტრალური საგადაზვერვო სააგენტოდან და გამოძიების ფედერალური ბიუროდან. გამოძიებამ უკვე გამორიცხა დანაშაულში მეხდი გეზალის მონაწილეობა, რომელიც თავიდან ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იყო. ეს არის შვედეთის მოქალაქე, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში გუანტანამოს ციხეში იჯდა.

ისრაელში კი უკვე დაკრძალეს ტერაქტის ხუთი მსხვერპლი - ოთხი მამაკაცი და ფეხმძიმე ქალი.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა გუშინ თავის თავზე აიღო აქამდე უცნობმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ «კაიდატ ალ-ჯიჰადმა» («საღვთო ომის საფუძველი»). მათ ამის შესახებ განცხადება არაბული მედიასაშუალებების მეშვეობით გაავრცელეს.

ტაჯიკეთში უშიშროების გენერალი მოკლეს

შაბათს, საღამოს მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ცენტრთან, ქალაქ ხოროგთან ახლოს გზაზე უცნობმა პირებმა ოლქის ეროვნული უშიშროების სახელწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის, გენერალ აბდულო ნაზაროვის მანქანა გააჩერეს. გენერალი მანქანიდან გადმოათრიეს და დანებით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. მანქანაში მყოფი სხვა პირები უმნიშვნელო ჭრილობებით გადარჩნენ. გენერალი ნაზაროვი ბრუნდებოდა ქვეყნის და ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იშკაშიმის რაიონიდან, სადაც სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა. მკვლელობა აშკარად შეკვეთილს ჰგავს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვის შეიძლებოდა დასჭირებოდა მისი მოკვლა. ერთ-ერთი მთავარი ვერსიაა კრიმინალური სამყარო, კერძოდ, თამბაქოს კონტრაბანდით დაკავებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები. გამოძიება მიმდინარეობს იმის თაობაზეც, თუ რატომ არ გამოიყენეს მანაქანაში მსხდომმა პირებმა ტაბელური იარაღი და ვერ დაიცვეს თავიანთი უფროსი. გენერალთან ერთად, ავტომობილში იმყოფებოდა მძღოლი და ორი პირადი მცველი, ელიტარულ ქვედანაყოფ "ალფას" მებრძოლები.

აბდულო ნაზაროვი "კადრის ჩეკისტია", ის პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა. თავის დროზე, სამოქალაქო ომის დროს, იყო გაერთიანებული ოპოზიციის მომხრე. სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიკავა ეროვნული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, ბოლო წლებში კი მთიანი ბადახშანის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ტაჯიკეთში ბოლო წლებში ძალოვანი სტრუქტურების ამ რანგის ჩინოსნებზე თავდასხმის ფაქტები არ ყოფილა.

პეკინში წყალდიდობას მსხვერპლი მოჰყვა

ჩინეთის დედაქალაქში 10 კაცი შეეწირა წყალდიდობას, რომელიც კოისპირულმა წვიმამ გამოიწვია. პეკინში რეკორდული რაოდენობის ნალექი მოვიდა, რაც ამ ქალაქს ბოლო 60 წლის განმავლობაში არ ახსოვს. ნალექის საშუალო სიმაღლე 212 მილიმეტრი, იყო, ყველაზე მეტი წვიმა მოვიდა პეკინის გარეუბან ფანშანში - 460 მმ. წვიმა შაბათს დაიწყო და მხოლოდ კვირას, დილისთვის შეწყდა. საშიში რაიონებიდან საჭირო გახდა 14 ათასი კაცის ევაკუაცია, ხოლო მთლიანად სტიქიასთან საბრძოლველად 100 ათასი კაცი იყო მობილიზებული. ბევრი ქუჩა მდინარებად იქცა, რამაც, ცხადია, ტრანსპორტის მიმოსვლის შეწყვეტა გამოიწვია. პეკინის აეროპორტს 525 რეისის გაუქმება მოუწია.

იაპონიაში რადიაციის მაჩვენებლების ხელოვნურ შემცირებას გამოიკვლევენ

იაპონიის მთავრობა სპეციალურ გამოძიებას ჩაატარებს, რომლის დროსაც შეისწავლიან მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის უტყუარობას სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ რადიაციის მაჩვენებლების ხელოვნურად დაწევის თაობაზე. როგორც ირკვევა, კომპანია "Build Up"-მა თანამშრომლებს მოსთხოვა, საშიშ ზონაში მუშაობისას დოზიმეტრებზე ტყვიის ხუფები დაემაგრებინათ, რომ რადიაციის დონეს დასაშვები დონისთვის გვიან გადაეჭარბებინა, შესაბამისად, თანამშრომლებს იქ მეტხანს ემუშავათ. ეს კომპანია სამუშაოებს ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმას მფლობელი კომპანია "ტეპკოს" შეკვეთით ასრულებს. ამ პირობებს მხოლოდ 9 ადამიანი დათანხმდა, დანარჩენებმა უარი თქვეს და სამსახურიდან წავიდნენ. მათ აქვთ დირექტორთან საუბრის ჩანაწერი, რომლის დროსაც დირექტორს თვითონაც ჰქონდა დოზიმეტრზე ტყვიის ხუფი. "ტეპკოს" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია სამშენებლო კომპანიის მიერ ტყვიის ხუფებიანი დოზიმეტრების შესახებ, თუმცა ისინი უშუალოდ ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე არ გამოუყენებიათ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

Go Crazy!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



ᲟᲣᲜ ᲡᲙᲝᲤᲘᲚᲓᲘ

მეოთხე საფესტივალო დღე ბაჩა მძინარიშვილის ტრიომ გახსნა. ეს ახალგაზრდა მუსიკოსი ბექა გოჩიაშვილის მსგავსად ჩვენი ფესტივალების ტრადიციულ სტუმრად იქცა, ქართველ მსმენელს საშუალება ეძლევა თვალნათლივ შეაფასოს ახალგაზრდა ჯაზმენების მუსიკალური ზრდა, რაც გამოცდილი მუსიკოსების ფონზე უფრო იოლი შესამჩნევია. ბაჩაც და ბექაც დიდი ხნის წინ აღიარეს მსოფლიო ჯაზის ახალგაზრდა ვარსკვლავებად და თუ გავითვალისწინებთ, რა დონის მუსიკოსების გვერდით უხდებათ კარიერული წინსვლა, იოლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი მალე სრულყოფილი ვარსკვლავების ტიტულსაც მოიპოვებენ. ამრიგად ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ გვყავს მუსიკოსები, ვისი გამოყვანაც იმავე სცენაზე შეიძლება, რომელზეც დიდებული ჯონ სკოფილდი გამოდის.

ამ უკანასკნელის კონცერტი ერთმნიშვნელოვნად ჯაზოაზისი აღმოჩნდა, რაც ქართველმა მსმენელმა სათანადოდ შეაფასა და დააფასა კიდეც. მუსიკოსი, რომელიც რამდენიმე წლის წინ თბილისის ჯაზფესტივალს სტუმრობდა, ამჯერადაც საოცრების ჩასადენად გვესტუმრა, რაც თითქმის ორსაათიანი კონცერტის განმავლობაში დაამტკიცა კიდეც. ამჯერად სკოფილდი თავის ბენდ Hollowbody band-თან ერთად გვესტუმრა, რომლის წევრებთან ერთადაც ახალი კომპოზიციების გარდა ცნობილი ჯაზტანდარტების საკუთარი ვერსიებიც შემოგვთავაზა. ნამდვილი სიგიჟე იყო კონცერტი მეორე ნახევარი, როდესაც სკოფილდმა ბენდის წევრი კურტ როუსუინკლი შეიამხანაგა და მასთან ერთად ნამდვილი მასტერპისი შემოგვთავაზა.

როგორც კი ჯონ სკოფილდის კონცერტი დასრულდა, ბათუმის კორტების ტერიტორია სკამებისგან და სხვა ზედმეტი საგნებისგან გაანთავისუფლეს, რადგან კულისებში უკვე ხურდებოდა DJ Taboo. Black Eyed Peas-ის წევრის მოწვევა უდავოდ გახლდათ საჩუქარი ჯაზფესტივალის ორგანიზატორ "ისტერნ პრომოუშენისა" და თბილისი ბანკის მხრიდან, რამაც ახალგაზრდა მსმენელი, კლუბური მუსიკის მოყვარულები და თავად ჯგუფის ფანები განსაკუთრებით გაახარა, თანაც იმდენად, რომ მთელი ერთი საათის განმავლობაში არავინ გაჩერებულა, არავის შეუწყვიტავს ხტუნვა, ცეკვა, სიმღერა და ყიჟინა.

ტაბუ ბათუმში სტამბოლიდან ჩამოვიდა, საკუთარი გამოსვლაც ამ ქალაქით "გახსნა". "სტამბოლში მითხრეს, რომ ქართველებს გართობა არ შეუძლიათ - დამიმტკიცეთ, რომ ეს ასე არაა!" - ჩამოგვძახა სცენიდან და შოუც დაიწყო. Go crazy - Do what you want! - ასეთი გახლდათ ტაბუს იმდღევანდელი დევიზი, რომელიც ასობით მსმენელმა მომენტალურად აიტაცა და სიგიჟეც დაიწყო!

ტაბუს შოუ იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა, საკუთარ მუსიკას აქ ყველნაირი ჟანრის მოყვარული აღმოაჩენდა. ისმოდა არა მხოლოდ Black eyed peas-ის ცნობილი კომპოზიციების გამიქსული ვერსიები, არამედ "ოსკარის" მფლობელი სიმღერა Love of my life ფილმიდან "ბინძური ცეკვები", ბიონსეს Crazy For Love, Red Hot Chili Peppers-ის Otherside, White Stripes-ის Seven Nation Army და, რა თქმა უნდა, I've got a filling - Black eyed peas-ის ცნობილი ჰიტი, რომლითაც ტაბუმ საკუთარი გამოსვლა დაასრულა და დარწმუნდა, რომ სტამბოლელებზე მაგარი გართობა შეგვძლებია!

ჯაზფესტივალის მესამე დღე ჯაზის ნამდვილი მოყვარულებისთვის იყო განკუთვნილი. ამ დღეს ჯერ ჯო კალდერაცოს, შემდეგ კი უკვე ნახსენები ბექა გოჩიაშვილის ბენდი მუზიცირებდა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ქართველი ჯაზმენის, თანაც ჯერ კიდევ მოზარდი მუსიკოსის შოუ უფრო მეტ აღნიშვნას იმსახურებს. ბექა გოჩიაშვილი ბათუმის ჯაზფესტივალზე ბევრჯერ მოგვისმენია, ამრიგად კარგად შეგვიძლია შევაფასოთ მისი, როგორც მუსიკოსის, ზრდის დინამიკა. ამჯერად ბექამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მშვიდად ვიყოთ - მსოფლიო ჯაზის სამყაროში "ჩვენი კაცი" გვყავს.

შავი ზღვის მეექვსე ჯაზფესტივალის დახურვის პატივი ბრაზილიური მუსიკის ლეგენდადDშერაცხულ სერჟო მენდესს ერგო. აღმოჩნდა, რომ სამბას, ბოსა ნოვასა და სხვა თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი მენდესი ბათუმში მხოლოდ ერთი მისიით იყო ჩამოსული - ექვსდღიანი საფესტივალო მარათონით "გათანგული" მსმენელი კულმინაციამდე მიეყვანა და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, რომ ერთმანეთში არეული ზღვა და ბრაზილიური მუსიკა შესანიშნავი კოქტეილია.

ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ - ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲓ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ტოლერანტობა ადამიანთა თვისებაა, მაგრამ ისეთი, რომელსაც გაცნობიერება სჭირდება, რომ გვაქვს. ქრისტესმიერი "გიყვარდეს მოყვასი შენი" და "გიყვარდეს მტერი შენი" ამ ჩვენში არსებული, დაფარული თვისების გააზრებას გულისხმობს, თუმცა კი, როგორც ყველა სხვა სწავლება, რთულია და მუდმივ შეხსენებასაც საჭიროებს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის, მერაბ მამარდაშვილის სახელობის სამოქალაქო განათლების დარბაზში ტოლერანტობის კუთხე მოეწყო, სადაც გამოიფინა ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული ყველა ის მასალა, რაც კი ტოლერანტობის თემას ეხება. მათ შორისაა როგორც წიგნები, ასევე პერიოდული გამოცემები და განსაკუთრებულია იმით, რომ მკითხველს თავისუფალი დაშვება აქვს თაროსთან, შეუძლია გამოწერის გარეშე მისვლა და მისთვის საინტერესო ლიტერატურის აღება.

ტოლერანტობის თემაზე ქართულ ენაზე არსებული მასალათა უმრავლესობა პერიოდულ გამოცემებშია. ეს ძირითადად საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ქართულენოვანი ჟურნალებია, რამდენიმე მათგანი ევროსაბჭოს მიერაა გამოცემული. ისინი სხვადასხვა ფონდებში იყო გაბნეული, ერთ ლოკალურ ადგილას მათი თავმოყრა კი იოლად ხელმისაწვდომს ხდის და ასევე, ამ დარბაზში შესულ მკითხველს ახსენებს რომ არსებობს ამგვარი საკითხი, პრობლემა, თემა, და რომ ის სადღაც, შორს, რომელიმე ხალხსა და საზოგადოებას კი არ აწუხებს და აფიქრებს მხოლოდ, არამედ ყველა ჩვენგანისგან ითხოვს გააზრებას.

"ვიდრე ეს კუთხე გაიხსნებოდა, ჩვენს ფონდებში დაცული ლიტერატურის დიდი ნაწილი ციფრული სახით არსებობდა ბიბლიოთეკის ოფიციალურ ვებ.გვერდზე - სამოქალაქო საზოგადოების პერიოდულ გამოცემათა ციფრულ ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომი იყო მკითხველისათვის. ჩვენ პერიოდულად ვცდილობთ, ეს კოლექციები შევავსოთ. როგორც წესი, ეს პერიოდული გამოცემები წყდება და მერე მათი ყველა ნომრის მოპოვება ძნელდება. არასამთავრობო სექტორი, მოგეხსენებათ, პატარა ტირაჟით ბეჭდავს და შემდეგ საზოგადოების გარკვეულ ფენებში ავრცელებს, რასაკვირველია, ის ყველასთან ვერ აღწევს. ბოლო პერიოდში დაინტერესებულ მკითხველს მათი ნახვა ელექტრონული სახით შეუძლია. ამავე დროს, უკვე შესაძლებელი გახდა, სამოქალაქო განათლების კუთხით დაგროვილი მასალა თემატურად დაგვეყო და მკითხველისთვის ისე შეგევთავაზებინა. გარდა ტოლერანტობისა, გვაქვს მასალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, როგორც მეთოდური ლიტერატურა, ასევე საგანმანათლებლო, ეკონომიკური, ყველაფერი ის, რაც კი ამ ადამიანების უფლებებს ეხება. ეს ის ლიტერატურაა, რაც ეხმარება ადამიანებს სამოქალაქო აზროვნების დონის ამაღლებაში, " - ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილების უფროსი ხათუნა კენჭოშვილი.

ამავე განყოფილებამ საჭიროდ ჩათვალა, საზოგადოებისათვის ტერმინთა ლექსიკონიც მიეწოდებინა, რომელიც არსებული ლიტერატურიდან ამოკრიფეს, განმარტეს და ვებგვერდზე განათავსეს. დღეს როდესაც "გუგლის" საძიებო სისტემაში რომელიმე ტერმინს მიუთითებთ, მოგცემთ მის განმარტებას წყაროს მითითებით, რომლის ნახვაც ასევე შესაძლებელია ციფრულად. როგორც ყოველდღიური მოვლენები გვიჩვენებს, "Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი" ჩვენს საზოგადოებას ისევე აქტიურად სჭირდება, როგორც პირადი ავტომანქანა ანდა ტელეფონი, რადგან უმრავლესობამ სოციალურ ტერმინთა მნიშვნელობა ან საერთოდ არ იცის, ანდა ერთმანეთში ერევა. ამის ნათელი მაგალითია ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნა, რომელიც იმავე ეროვნულ ბიბლიოთეკაში იყო დაგეგმილი. ჰომოფობია ერთ ნაწილს ჰომოსექსუალიზმში აერია, და რატომღაც იფიქრეს, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა გეიაღლუმის ჩატარებას აპირებდა. საქმე, მოგეხსენებათ, სამწუხარო ინციდენტამდე მივიდა. თანამედროვე სოციოლოგიურ თუ სამოქალაქო ლიტერატურაში შეხვდებით ისეთ ტერმინებს, რაც ქართულ განმარტებით ლექსიკონში შესული არ არის. როგორიცაა, მაგალითად: "რომაფობია"- ბოშათა სიძულვილი, ანდა "ვარდისფერი სამკუთხედი" - ფაშისტების მიერ გარიყული ჰომოსექსუალების ნიშანი. საინტერესოა, თვითონ ტერმინ "ტოლერანტობის" განმარტებაც, რაც ერთი სიტყვით "შემწყნარებლობას" ნიშნავს, ხოლო თუ ლექსიკონს მეტად ჩაეძიებით, ნაიკითხავთ: "სხვისი ქცევებისა და შეხედულებების შეწყნარება. ტოლერანტიზმს თავდაპირველად რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და ჩამოყალიბდა ერთსა და იმავე ქვეყანაში სხვადასხვა კონფესიების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპად. შემდგომში იგი დემოკრატიული თეორიის ბაზისურ ღირებულებად იქცა. უკვე სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი პრესის არსებობა გულისხმობს პოლიტიკური ოპოზიციისადმი შემწყნარებლობას. ტოლერანტობის პოლიტიკური პრინციპი აუცილებლად გულისხმობს გამიჯვნას „თქმასა" და „მოქმედებას" შორის. ისეთი საზოგადოება, სადაც შეხედულებების თავისუფალი გამოთქმა შეზღუდულია, უთუოდ არადემოკრატიულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იგივე არ ვრცელდება მოქმედების თავისუფლებაზედაც. დემოკრატიულ სახელმწიფოში დასაშვებია თუნდაც თავად დემოკრატიის საწინააღმდეგოდ მიმართული შეხედულებებით საჯაროდ გამოსვლა, მაგრამ არა ანალოგიური ქმედებები".

რასაკვირველია, ამ განმარტების ნახვა და წაკითხვა თქვენც შეგეძლოთ, მე მხოლოდ შეგახსენეთ, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის მიერ თბილისელი მუსლიმებისათვის დატოვებული მეჩეთების ფაქტი გვახსოვს, ანდა იგივე დავითისგან ამ მეჩეთის შესასავლელში ფეხზე გახდა.

ქართული შვიდკაცა მსოფლიო თასზე

პირველი გვერდიდან

სამივე შეხვედრა, ქართველთა გარდა, მოიგეს ესპანელებმა და ბურთების უკეთესი სხვაობით, ჯამურ სატურნირო ცხრილში, რის მიხედვითაც გუნდები მეოთხედფინალში დაწყვილდნენ, პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ.

მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრებს ერთი შეხედვით იოლი მეტოქე - უკრაინა ერგო. სწორედ ამ შეხვედრას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა - გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურები მსოფლიოს თასის საგზურს გაინაღდებდნენ. უკრაინელების ძლევა არ აღმოჩნდა ადვილი - პირველივე წუთზე მათ ლელო გაიტანეს, თუმცა, "შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" ნერვები მოთოკეს და პირველივე ნახევარში გეგენავას ორი ლელოთი დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში გოგოლაშვილმა კიდევ ერთხელ დაალელოვა მეტოქე. საბოლოოდ 19:12 და მოსკოვის საგზური ჯიბეში!

პირველად საქართველო პორტუგალიასთან დამარცხდა

წინ კიდევ ორი მატჩი იყო - ნახევარფინალში მასპინძელ პორტუგალიასთან რეფერიმ საწყის წუთებშივე ყვითელი ბარათი უჩვენა თედო ზიბზიბაძეს და ორი წუთით "დაასვენა". რიცხობრივი უპირატესობით კარგად ისარგებლა მეტოქემ და ორი ლელო გაიტანა. ცხადია, ჩვენებურებმა ბოლომდე იბრძოლეს თამაშის მოსაგებად, მაგრამ წინ გაჭრილ მასპინძლებს ვეღარ მიწვდნენ და პირველი მარცხი იგემეს - 7:19.

მესამე ადგილისთვის ჯახში კი თანაჯგუფელმა საფრანგეთმა რევანში აიღო და საქართველოს ნაკრებს 24:12 მოუგო. ტურნირის გამარჯვებული გახდა პორტუგალია, რომელმაც ფინალში ესპანეთი 7:5 დაამარცხა, ხოლო მეხუთე ადგილი და მსოფლიოს თასის მეხუთე საგზური შოტლანდიამ მოიპოვა - სქოთებმა გადამწყვეტ მატჩში იტალიას მოუგეს 22:14.

ალგარვეშში კახა ალანიასა და პალიკო ჯიმშელაძის ხელმძღვანელობით ითამაშეს:

ბექა ბიწაძემ, მერაბ შარიქაძემ, ირაკლი მაჩხანელმა, მერაბ კვირიკაშვილმა, ირაკლი გეგენავამ, ლევან გოგოლაშვილმა, გიორგი ფრუიძემ, თედო ზიბზიბაძემ, შალვა მახარაშვილმა, ლაშა ხმალაძემ, ბაჩანა კოლელიშვილმა.

ბევრი MVP

ზურაბ თალაკვაძე

ლებრონ ჯეიმსი რეგულარულის MVP გახდა. უნდა გამხდარიყო. ბიჭი ჩვეულებრივ კალათბურთელებში არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს. ლებრონი ლიგის ლაკი ლუჩიანო გახდა და პოლიცია ჯერ არ აწუხებს. ლებრონზე ყველა დადის და ლებრონიც ყველასთან დადის. მივა, თავს დააქნევს, კუნთებს წაათამაშებს და იწყება საკალათბურთო ეროტიკა ლებრონის ელემენტებით. გაიხადეთ, ჯერ ცოტა მტკივნეული იქნება და მერე ყველაფერი შეჩვევის ამბავია.

ჯეიმსმა შარშან სერიოზული სტატისტიკა დასვა. ლებრონი სულ სერიოზულ სტატისტიკას ტოვებს. 27.1 ქულა, 7.9 მოხსნა, 6.2 პასი. ჯეიმსი კარიერით - 27.9 ქულა, 7.2 მოხსნა, 6.9 პასი. სტაბილური კაცი. მისტერ ყველაფერი "მაიამიში" იგებს ფლეი-ოფს და ჯეიმსს ეცინება. ამ სეზონში ბიჭი ისევ ფავორიტებში ირბენს და ბევრს მოასწრებს. ჯეიმსი ფლეი-ოფისთვის ისპარინგებს. მერე დუეინ უეიდთან ერთად წაუსოულებს. კარგი მოსასმენი და საინტერესო პროცესი იქნება. ლებრონთან ერთად ყოველთვის საინტერესოა. ჯეიმსი ყველა პრობლემას ჯეიმსურად აგვარებს. დღეს სხვა კარგ ხალხზე ვისაუბროთ.

MVP კარგი თემაა. ჯეიმსის შემდეგ ფავორიტებში "ოკლაჰომას" დიდი ბიჭი, კევინ დიურანი, "ლეიკერსის" ბოსი კობი ბრაიანტი და "კლიპერსის" ტვინი, კრის პოლი იქნებიან. მეორე ეშელონში ეს ხუთი ადამიანი დავსვით. წავედით.

"ბრუკლინის" ლიდერი დერონ უილიამსი

სტივ ნეში (ლეიკერსი)

სტივ ნეში 38 წლის ბიძაა, რომელიც კალათბურთში რასელ უესთბრუქზე სწრაფად აზროვნებს. რასი კარგი ბიჭია და ნეში კალათბურთის ინდიანა ჯონსია. ასაკი მოდის და ნეშთან დაკაკუნება ჯერ არ შეიძლება. ასაკს სტივის ერიდება და ნეში ამას ხედავს, თავის დროს და ენერგიას იყენებს. სტივიმ რაღაც მომენტში უნდა დაისვენოს და ახალ გუნდში კანადელი პროფესორი გაიხსნება. თუ ნეშს გახსნა აკლდა... კობი ბრაიანტთან ერთად ნეში მეჯიქ ჯონსონი იქნება.

სტივიმ ორჯერ დაირტყა MVP. ადრე, "ფინიქსში" შაკების, ჰილების, სტაუდმაიერებისა და ბარბოსების ენერგია იყო და ნეში იქ ბევრ პასს ტოვებდა. იმ "სანზმა" მწვანე მილი ბოლომდე ვერ გაიარა და ჩამოჯდა. დაისვენა და სხვები გაიქცნენ. ნეშს ძალიან ეწყინა. უბრალოდ, "ფინიქსში" ბოლომდე დარჩა და საქმე გააკეთა. დღეს პროფესორი ლოს ანჯელესშია. Nice.

ნეში უპრობლემოდ აიღებს საშუალოდ 10 (ან მეტ) პასს. ნეში უპრობლემოდ გაუშვებს ათიანში სამიანების 40 პროცენტს. სტივი გუნდის დასატენი ენერჯაიზერი იქნება და ნეშმა საქმე იცის. ეს კობიმაც იცის და ახალი "ლეიკერსი" დაუნდობელი გუნდია. თავისი ნეშით. თავისი ბრაიანტით. თავისი პო გასოლით. თავისი კარგი ცენტრით, ენდრიუ ბაინუმით ან იმ, მეორე დიდი კაცით.

ტონი პარკერი (სან ანტონიო)

ტონი პარკერი გრეგ პოპოვიჩის ყვავის ტუზია. ტექსასში იცვლება ეპოქა და ინერციით ჯოკერი მაინც ტიმ დანკანი იქნება. ემანუელ ჯინობილი ოლიმპიადის შემდეგ დაისვენებს და ტონიმ უნდა შეუბეროს. ტონი და ტიმი. კარგი, ძველი დრო. ტექსასში რაღაცები არ იცვლება. ტექსასში ბიჭები ქიდ როქის დრაივით და მისტერ პარკერის მოქნილი აზროვნებით დაისვენებენ.

პარკერი შარშან მკვლელი იყო. ფრანგი ატერორებდა "ოკლაჰომას" და რასელ უესთბრუქს. ფრანგი ატერორებდა "ლეიკერსს" და კობი ბრაიანტს. ფრანგი ატერორებდა ყველას, ვინც "სან ანტონიოს" უპატივცემულოდ ეჭორავებოდა. ფრანგმა ქუჩური კალათბურთი დაასვენა და კლასიკურად, ჭკვიანურად აკრიფა. ტონიმ ძველ დროში (32.1 წუთი) კარგი სტატისტიკა (18.2 ქულა, 7.7 პასი) წამოიღო და ეს "სან ანტონიოში" თითქმის ფლეშია. იქ თავის ყურადღებას ყველა იღებს და პარკერმა ვენსან კასელივით ითამაშა. ვენსანი კაცობრიობის პირველი მტერი რომ არის, იმ ფილმში. იქ კასელი არარეალურია. "სან ანტონიოში" პარკერია არარეალური.

დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

ჰოვარდი არ იცვლება. ამ გენერაციის შაკი დოლარებზე ნებისმიერ გუნდს გაცვლის, ერთჯერადი სიყვარულით პატივისცემა დაკარგა და მაინც ყველას უყვარს. ჰოვარდმა კალათბურთში უილტ ჩემბერლენის დომინაცია და მოუზეს მელოუნის საოცარი მოძრაობები დააბრუნა. ჰაკიმ ოლაჯუონისა და ადმირალ რობინსონის ინტელექტამდე ძალიან შორია, მაგრამ დუაიტი მაინც იცელქებს. ბურთი ჩავა სამწამიანში და იქ ბუნჩულა ჰოვარდი პილორამას ამოიღებს. ჩეხვა იწყება, დაიშალეთ.

ჰოვარდი დარჩება "ორლანდოში". ან არ დარჩება. დუაიტი თავის 20-21 ქულას, თოთხმეტამდე მოხსნას, 2 პასს და 2 დაფარებას ნებისმიერ ფრენჩაიზში აიღებს და ჰოვარდმა ეს იცის. შარშან ვერ იყო ჯანზე, საკონტრაქტო პრობლემებს აგვარებდა, ვერ მოაგვარა და მაინც სერიოზული სტატისტიკა დაირტყა - 20.6 ქულა, 14.6 მოხსნა, 2.1 დაფარება, 1.9 პასი, 1.5 ჩაჭრა. რკინის კაცი აილეწა, დიდი სხეულის პატარა ნაწილი იტკინა და "ორლანდო" ფლეი-ოფში ტიტანის გარეშე შევიდა. და მაშინვე გამოვიდა. "ინდიანასგან" აირტყა. ჰოვარდის გადაბირება მთელ ლიგას უნდა და ბიჭი ფიქრობს. უბრალოდ, სწორი ადგილით უნდა იფიქროს.

კევინ ლავი (მინესოტა)

რაღაც მომენტში დაიჯერებ, რომ კევინ ლავი შემდეგ სეზონში საშუალოდ 32 ქულას აიღებს. რაღაც მომენტში სტატისტიკას ჩაუჯდები და ლავის 32 ქულა სნეიქ პლისკინის უტოპიაზე რეალურია. ლავმა პირველ სეზონში 11 ქულა დაირტყა. მერე თოთხმეტამდე ავიდა. მერე ოცს დაუძმაკაცდა და შარშან რეგულარული 26.0 ქულით დახურა. კევინი ნიჭიერი მოსწავლეა.

ლავი ცუდ გუნდშია. "მინესოტა" ისევ ერთჯერადი პროდუქტია და კევინი რაღაცებს ვერ ასწრებს. ლავი ბევრ პრობლემას აგვარებს და ლავთან ერთად გუნდი ჯერ ვერ იზრდება. იქვეა ესპანელი რეპერი რიკი რუბიო და კევინს ეს მოსწონს. იქვეა კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა და ახალი "მინესოტა" კარგი გუნდი იქნება. ალბათ, ლავიც არ შეიცვლება.

კევინი უპრობლემოდ აიღებს თავის 25 ქულას, 13 ან 14 მოხსნას, მეტ პასს დადებს და თითო თამაშში ორ სამიანსაც ჩააგდებს. უნივერსალური ჯარისკაცი დასალაგებელ ოცეულში. ოლივერ სტოუნის შედევრში კარგი ბიჭები კვდებოდნენ. "მინესოტაში" კარგი ლავია და კევინი ახალი გადაღებებისთვის მზად იქნება. ლავთან ერთად გამოსწორდება "მინესოტაც". მიყვარს ეს ბიჭი.

დერონ უილიამსი (ბრუკლინი)

დერონ უილიამსით "ბრუკლინმა" ჯეკპოტი მოხსნა. კრის პოლი უფრო მაგარი ანალიტიკოსია, პარკერმა სექსუალურად თამაში ისწავლა, ნეში პროფესორია. დერონი ამ სეზონში ლიგის საუკეთესო ფლეიმეიქერი იქნება. არ შეიძლება, რომ არ იყოს.

"იუტაში" ჯერი სლოუნმა ბიჭს აგრესიის გაკონტროლება ასწავლა. უილიამსი აკეთებს საქმეს და თან ბევრ რაღაცას ინიშნავს. შარშან უილიამსმა ცუდ გუნდში შთამბეჭდავი სტატისტიკა (21.0+8.7 პასი) დასვა და "ბრუკლინმა" დუაიტ ჰოვარდზე მუშაობა დაიწყო. მისტერ ჰოვარდის თემა არ გამოვიდა და "ბრუკლინი" მაინც სოლიდური ბენდი იქნება. დერონით, რომელიც უილიამსია. ჯო ჯონსონით, რომელიც ადრე სტივ ნეშთან ერთად იყო და იმ სეზონში (2004/05) სამიანების თითქმის 48 პროცენტი გამოიყენა. პერიმეტრზე სისხლის წვიმა წამოვა. ბრუქ ლოპესით და მაღალი ბიჭის 20-22 ქულით. მარშონ ბრუქსის კონსპექტებით და ჯერალდ უოლასის უნივერსალიზმით. რეალურად კარგი გუნდია.

კარგ ბრუკლინში პატარა პიტბული, მისტერ უილიამსი ისაუბრებს. საუბარი მოკლე და კონკრეტული იქნება. უილიამსს პრობლემების მოგვარება ჯერი სლოუნმა აუხსნა.

ბრუკლინში რენესანსია.

ჩოგბურთის დედოფლები

ოდესმე მის ცხოვრებაზე გადაიღებენ ფილმს. ჯერჯერობით უცნობია, რომელ ჟანრში; ჰოლივუდში ერთნაირად პოპულარულია ფილმები ვუნდერკინდ ბავშვებზე, შფოთიან, დაუდგრომელ ახალგაზრდობაზე, ვარსკვლავების ტრიუმფალურ დაბრუნებაზე, არარეალიზებული ადამიანების სულიერ ტანჯვაზე. ჯენიფერ კაპრიატის ბიოგრაფია იძლევა მდიდარ მასალას ნებისმიერი ჟანრის ფილმისთვის.

მისი ცხოვრება სხვა დიდი ჩოგბურთელების ბიოგრაფიების ნაკუწებისგან შეკერილს ჰგავს: ისევე, როგორც ტრეისი ოსტინი და მონიკა სელეში, ის ამყარებდა ასაკობრივ რეკორდებს, მათსავით, ძალთა გაფურჩქვნის ასაკში ტოვებდა სპორტს და მონიკასავით ტრიუმფალურად ბრუნდებოდა; ევერტის მსგავსად, ჯენიფერი ითვლებოდა ამერიკის ახალგაზრდა იმედად და დიდი კრისის მამასთანაც კი ვარჯიშობდა; ანდრე აგასივით განიცადა ხმაურიანი აღმაფრენები და მტკივნეული ჩავარდნები, შტეფი გრაფივით მოუხდა ქალთა ჩოგბურთის ორი დიდი ეპოქის წარმომადგენლებთან დაპირისპირება. ჯენის მუდამ ვიღაცას ადარებდნენ. შედარებათა ამ ნაკადში მხოლოდ ერთი ადამიანისთვის არ მოიძებნა ადგილი - თვით ჯენიფერ კაპრიატისთვის.

თუ ლაპარაკია შედარებაზე, ყველაზე უპრიანია აგასისთან შედარება. ისევე როგორც ანდრე, ჯენიფერიც ჩოგბურთში მიიყვანა მამამ, სტეფანო კაპრიატიმ, ყოფილმა მოკრივემ. იტალიელი ემიგრანტი ოცნებობდა დაეპყრო ამერიკა, თუ თვითონ ვერა, თავისი შვილის ხელით. ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე ის მეგობრებს შეჰპირდა, რომ გაზრდიდა მომავალ ჩემპიონს. გოგონას ცხოვრებაში ნიკ ბოლეტიერის როლი შეასრულა ჯიმი ევერტმა. გენიალური მწვრთნელი, რომელმაც ოცი წლის წინ აღზარდა ერთი დიდი ჩემპიონი, არ იყო უარზე გაემეორებინა თავისი მიღწევა. თავიდან ისე ჩანდა, რომ ის ამას შეძლებდა.

ჯენიფერის დებიუტი ქალთა ტურში, კონკურენციის თვალსაზრისით, რთულ პერიოდს დაემთხვა: ჯერ კიდევ მრისხანე ძალა იყო სახელგანთქმული მარტინა ნავრატილოვა, დაკარგული გვირგვინის დასაბრუნებლად თავს არ ზოგავდა შტეფი გრაფი, ხოლო მწვერვალზე ერთპიროვნულად ბატონობდა მონიკა სელეში. ბავშვის ჩამოუყალიბებელი ფსიქიკისთვის ასეთ შერკინებაში მონაწილეობის მიღება სერიოზული გამოცდაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო - ცამეტი წლის კაპრიატის ტოლი არ ჰყავდა იუნიორთა ჩოგბურთში. 1990 წელს ნორჩმა ამერიკელმა დაიწყო თავისი პირველი პროფესიონალური სეზონი.

ლეგენდარულმა გრაფმა ცამეტი წლის ასაკში თავისი კარიერა დაიწყო ორი ნულოვანი წაგებით ტრეისი ოსტინთან. არც მონიკა სელეშის ვარსკვლავი აკიაფებულა თავიდანვე. კაპრიატიმ სადებიუტო სამიდან ორ ტურნირში ფინალამდე მიაღწია! 1990 წლის მარტში მას შეუსრულდა თოთხმეტი წელი, ივნისში კი გამოდიოდა "როლან გაროსის" ნახევარფინალში. ასეთი დებიუტი WTA-ტურში არავის ჰქონია. 1990 წელს ჯენიფერმა მოიგო თავისი პირველი პროფესიონალური ტიტული პუერტო-რიკოს ტურნირზე, შემდეგ კი შეიჭრა ტოპ-ათეულში და სეზონი დაამთავრა მსოფლიოს მერვე ჩოგნის რანგში. გულშემატკივრები ზეიმობდნენ, ექსპერტები აღფრთოვანებული იყვნენ, მაგრამ აფრთხილებდნენ, რომ აუცილებელია დიდების გამოცდის ჩაბარებაც.

1991 წელს ჯენიფერმა მოიგო ორი ტიტული და მიაღწია უიმბლდონისა და US Open-ის ნახევარფინალებს. ნახევარფინალი ნიუ იორკში, სადაც კაპრიატიმ ტოლი არ დაუდო სელეშს. ჯენიფერი ორჯერ აწოდებდა მატჩ-ბოლს და დათმო შეხვედრა მხოლოდ გამოცდილების უკმარისობის გამო. ბევრი ფიქრობდა, რომ ამით იწყებოდა ახალი დიდი დაპირისპირება - ისეთივე მრავალწლიანი, როგორც ევერტსა და ნავრატილოვას შორის. ჯერჯერობით კი კაპრიატიმ დაასრულა სეზონი WTA რეიტინგის მეექვსე საფეხურზე. გაივლის რამდენიმე თვე და ჯენიფერს თავს დაატყდება დიდების ახალი ტალღა, როდესაც თექვსმეტი წლის ასაკში ბარსელონის ოლიმპიადის ფინალში დაამარცხებს მრისხანე შტეფი გრაფს. სტეფანო კაპრიატის შეეძლო ბედნიერად ეგრძნო თავი - მისი ქალიშვილი იპყრობდა ჩოგბურთის სამყაროს.

ჯენიფერ კაპრიატი

დიდებასთან ერთად ოჯახში დიდი ფული მოვიდა. ნორჩი ჩემპიონი "გემრიელი ლუკმა" აღმოჩნდა სარეკლამო ბიზნესისთვის. ჯენიფერი გახდა მსოფლიოში ცნობილი ბრენდების Prince, Rolex, Gatorade, Diadora სახე. მაგრამ იმ დროს ის ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა. ასეთ დაძაბულ გრაფიკს ხშირად დიდებიც ვერ უძლებენ, ამერიკის საჩოგბურთო კერპი კი მაშინ სულ თექვსმეტი წლის იყო. როგორც რამდენიმე წლის შემდეგ დედამისი, დენიზი იხსენებდა, "ფული, ქალიშვილით სიამაყე, მღელვარება მის წარმატებებზე... ეს ყველაფერი იმდენად წარმტაცი იყო, რომ არ ვფიქრობდით იმაზე, თუ რას კარგავს ის ამით. ჩვენ ვერ წარმოგვედგინა, რომ ჯენიფერს სულ სხვა ცხოვრება უნდოდა".

მაიკ აგასისგან განსხვავებით, სტეფანო კაპრიატი სულსწრაფი და ნერვული იყო. საკმარისი იყო ჯენიფერს წაეგო ან ვერ ეჩვენებინა ისეთი თამაში, რაც მამას მიაჩნდა საჭიროდ, შვილს სკანდალი გარანტირებული ჰქონდა; ხშირად ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც მიდიოდა საქმე.

1993 წელს კაპრიატის თამაშში, წინა სეზონებთან შედარებით, გაუფერულდა. მეხის გავარდნას ჰგავდა მარცხი US Open-ის პირველივე წრეში. ამერიკელმა შეხვედრა დათმო ლეილა მესხთან, რომელსაც რამდენიმე წელი არ გაემარჯვა სერიოზულ ორთაბრძოლებში. ამის შემდეგ ჯენიფერმა განცხადება გააკეთა პაუზის აღების შესახებ. მას სურდა სრულყოფილი ცხოვრება პროფესიული ჩოგბურთის მკაცრი შეზღუდვების გარეშე, სურდა ეკეთებინა ის, რასაც თვითონ თვლიდა საჭიროდ და არა მშობლები ან აგენტები. თვრამეტი წლის ასაკში ჯენიფერ კაპრიატიმ პირველად სცადა ეცხოვრა თავისი ჭკუით, სხვისი კარნახის გარეშე.

ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო - თავგადასავლებით სიმთვრალეში ე.წ. "მეგობრებთან", პრობლემებით ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან და, ბუნებრივია, კანონთან. 1994 წლის ზაფხულში ჩამოყალიბებული დამოკიდებულების სამკურნალოდ კაპრიატი გაამწესეს მაიამის სარეაბილიტაციო ცენტრში. შემოდგომაზე იყო ჩოგბურთში დაბრუნების მცდელობა, მაგრამ ფილადელფიის ტურნირის პირველივე წრეში ჯენიფერი დამარცხდა. როგორც მომავალმა აჩვენა, ჯერ ყველაფერი დასრულებული არ იყო.

1996 წელს კაპრიატი დაბრუნდა ტურში, სადაც მას დახვდა სრულიად ახალი სამყარო. სამყარო, რომელშიც მეფობდა შტეფი გრაფი, ხოლო "ვუნდერკინდი ვარსკვლავის" ადგილი დაისაკუთრა მარტინა ჰინგისმა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყოფილი ვარსკვლავისთვის, რომელმაც დაკარგა ბრძოლის ხალისი, ახალ სამყაროში ადგილი აღარ იყო. ორი წლის განმავლობაში კაპრიატი იჯდა მსოფლიო რეიტინგის ბოლოში და ამ პერიოდში მხოლოდ ორჯერ მიაღწია ტურნირების ფინალამდე. ჯენიფერის სახელი დავიწყებას ეძლეოდა.

1999 წელს ამერიკელმა თანდათან დაიბრუნა ფორმა, მოიგო ორი ტურნირი სტრასბურგსა და კვებეკში და ორჯერ მიაღწია მეოთხე წრეს. დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ჯენიფერი უნდა უმადლოდეს გამოცდილ მწვრთნელს, ჰაროლდ სოლომონს. მას პირველად მიმართა ჩოგბურთელის მამამ, მაგრამ უშედეგოდ; სოლომონის მოთხოვნა იყო, თვითონ ჩოგბურთელს მოენდომებინა თანამშრომლობა. თუმცა, 2000 წელს მწვრთნელმა გაწყვიტა კონტრაქტი. მიზეზი: ჯენიფერს არ ჰყოფნის მოტივაცია. შესაძლოა, ეს იყო კარგად გათვლილი ფსიქოლოგიური სვლა, მაგრამ მწვრთნელთან განშორების შემდეგ ჩოგბურთელი მორალურად გაძლიერდა. 2000 წლის სეზონი მან დაასრულა ტოპ-ოცეულში, ხოლო Australian Open-2001 სტარტს შეხვდა მსოფლიოს მეთორმეტე ჩოგნის რანგში.

ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სპორტსმენი დაშორდა ბელგიელ ჩოგბურთელს ქსავიე მალისს და დაგროვილი ენერგიის მთელი მარაგი დაახარჯა მოწინააღმდეგეებს: მეოთხედფინალში სამ სეტში დაამარცხა მონიკა სელეში, ხოლო შემდეგ გაუსწორდა მსოფლიოს მეორე და პირველ ჩოგნებს - ლინსდეი დევენპორტს და მარტინა ჰინგისს. კარიერის დაწყებიდან თორმეტი წლის შემდეგ კაპრიატიმ, როგორც იქნა, მოიგო "მეიჯორი"!

ზღაპარი გაგრძელდა პარიზშიც, სადაც ჯენიფერმა სამ სეტში დაამარცხა სერენა უილიამსი, შემდეგ კვლავ ჰინგისი და დაძაბულ ფინალში სძლია ბელგიელ კიმ კლაისტერსს. გამარჯვებათა სერია შეწყდა უიმბლდონის ნახევარფინალში, სადაც ამერიკელი დამარცხდა ჟიუსტინ ენენთან; შემდეგ US Open-ის იმავე სტადიაზე მასზე ძლიერი აღმოჩნდა ვინუს უილიამსი. ამის მიუხედავად, ბრწყინვალე სეზონმა თავისი შედეგი გამოიღო - 2001 წლის 15 ოქტომბერს კაპრიატი გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

წლის შედეგების მიხედვით კაპრიატიმ ლიდერობა ვერ შეინარჩუნა. ამისთვის WTA-ს შემაჯამებელ ჩემპიონატზე მას სჭირდებოდა ნახევარფინალამდე მისვლა, მაგრამ პირველივე წრეში წააგო შეხვედრა მაგდალენა მალეევასთან. თუმცა, საბოლოო მეორე ადგილი მსოფლიო რეიტინგში ასევე ფანტასტიკური წარმატებაა.

2002 წელი კაპრიატისთვის უხვი აღმოჩნდა ჯილდოების თვალსაზრისით. მან მიიღო Laureus-ის პრემია ნომინაციაში "წლის სპორტსმენი ქალი"; ჯენიფერს უწოდეს "წლის დაბრუნება". ეს იმ წელს, როდესაც დიდ სპორტს დაუბრუნდნენ მაიკლ ჯორდანი და მარიო ლემიე!

კაპრიატიმ ბრწყინვალედ დაიცვა ტიტული Australian Open-ზე. დევენპორტის არყოფნაში ჯენიფერი განთესილი იყო პირველ ნომრად, ხოლო ფინალში კვლავ შეხვდა მარტინა ჰინგისს. გადამწყვეტი შეხვედრის დროს იყო საშინელი სიცხე და ამერიკელი აღმოჩნდა წაგების ზღვარზე - 4:6; 0:4. საბოლოოდ ჯენიფერმა მოიგო ოთხი მატჩბოლი და თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფინალი ტურნირის ისტორიაში, რომლის შედეგად კაპრიატიმ დაიბრუნა WTA-ს რეიტინგში პირველობა.

"როლან გაროსზე" მიღწეული ლიდერობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა - ნახევარფინალში სერენა უილიამსი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ამ გამარჯვებით სერენამ ძვირფასი საჩუქარი მოუმზადა უფროს დას; ტურნირის შედეგების მიხედვით, ვინუსმა ჩამოართვა კაპრიატის მსოფლიო რეიტინგის ლიდერობა. მიუხედავად ამისა, ჯენიფერისთვის წელი წარმატებულად დასრულდა მსოფლიოს მესამე ჩოგნის რანგში.

მომდევნო ორი წელი კაპრიატიმ გაატარა ტრავმებთან და ასაკთან ბრძოლაში. ის იყო პირველი, ვინც Australian Open-ის ჩემპიონის ტიტულის დაცვა დაასრულა პირველივე წრეში. სამაგიეროდ სამჯერ მივიდა "მეიჯორების" ნახევარფინალამდე, თუმცა, ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა თავის საყვარელ US Open-ზე. 2004 წლის დასრულების შემდეგ, ჯენიფერმა გამოაცხადა, რომ ისევ იღებს ტაიმ-აუტს მხრისა და მაჯის ტრავმის სამკურნალოდ. ეს შესვენება აღმოჩნდა კარიერის დასასრული - პროფესიონალური ტურნირების ჩარჩოებში კაპრიატი კორტებზე აღარ გამოჩენილა.

გავიდა რვა წელი და ჯენიფერი ისევ ძიებაშია. პირველ ყოვლისა, საკუთარი "მეს" ძიებაში. "კარიერის დასრულების შემდეგ ყველაფერი დამენგრა. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. პირველ რიგში მინდოდა შემეცნო საკუთარი თავი, გამეგო, რას წარმოადგენს ეს ჯენიფერი", - იხსენებს იგი. როგორც ჩანს, კითხვები უპასუხოდ დარჩა. 2010 წლის ზაფხულში, უიმბლდონის დროს, კაპრიატი სასტუმროს ნომერში უგონო მდგომარეობაში იპოვეს. დღემდე უცნობია, ეს იყო სუიციდის მცდელობა, თუ, როგორც ოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, ძილის წამლის ზედმეტი დოზა.

ჯენიფერი გადაარჩინეს, თუმცა, მას შემდეგ წელიწადში ოთხჯერ ემართება სასტიკი დეპრესიის შეტევა - ზამთარში, ორჯერ ზაფხულში და შემოდგომის დამდეგს - ზუსტად იმ დროს, როდესაც იწყება Grand Slam-ის ტურნირები. გოგონას, რომლის ცხოვრებაში ჩოგბურთის გარდა კარგი არაფერი იყო, დღემდე ენატრება თამაში. ის ხომ სულის სიღრმეში დღემდე რჩება პატარა გოგონად, რომლისთვისაც "ამერიკული ოცნება" ბოლომდე არ იქცა რეალობა.